№ 198 სექტემბერი 14, კვირა 1886 სექტემბერი 14, კვირა № 198

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა [illegible] წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

დღეს, 14 ენკენისთვეს

არწრუნისეულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

ქართულის დრამატიულის დასისაგან:

I

ეხლანდელი სიყვარული

კომედია 4 მოქმედებად, რუსულიდამ გადმოღებული.

II

„მირონული სუდში“

სცენა დავ. სოსლანისა

მოთამაშენნი: ქქ. გაბუნია, საფაროვისა-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა; ბატ. აბაშიძე, ალექსეევ-მესხიევი, ნებიერიძე, მაქსიმიძე და სხვ.

ანტრაქტებში ბადი იქნება გადებული და გაჩაღებული.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 13 სექტემბერი

ქუთაისის გუბერნიაში სულ 2532 კომლი ხიზანი ითვლება. ამათგან არიან: ქუთაისის მაზრაში 97 კომლი, შორაპნისაში—261, ოზურგეთისაში—117, რაჭაში—19, სენაკისაში—139, ზუგდიდისაში—1718, ლეჩხუმისაში—181 კომლი. თუ სახეში მივიღებთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში 44000 კომლი ნაყმევი ითვლებოდა, გამოვა, რომ ხიზნები აქ 6% ნაყმევთა რიცხვისას შეადგენენ. ამ 2532 კომლს ხიზანში ნაყმევნი არიან 2184 კომლი და 338 კომლი თავისუფალი გლეხი. ბატონ-ყმობის გაუქმებამდე 1169 კომლი ხიზანი ყოფილა, მას მერმედ დახიზნებულან კიდევ 1025 კომლი.

ქუთაისის გუბერნიის ხიზნებ შორის 919 კომლი იმისთანანი არიან, რომელთაც თავიანთ ნაბატონართაგან საკომლო (надѣлъ) მიღებული აქვთ დებულების ოქმითა და გარდა ამისა ხიზნობის წესზედ სხვის მამულებიც უჭირავთ და 74 კომლი იმისთანა, რომელთაც ნასყიდი მამულები აქვთ და სხვის მიწებიც უჭირავთ და დანარჩენნი 1263 კომლი კი წმინდა ხიზანია. ამ უკანასკნელთაგანი ქუთაისის მაზრაში 63 კომლია, შორაპნისაში — 125, ოზურგეთისაში — 20, რაჭაში — 10, სენაკისაში—110, ზუგდიდისაში—892 და ლეჩხუმისაში—52 კომლი.

რაც შეეხება მას, თუ რაოდენი მიწები უჭირავთ ხიზნებს, ამაზედ მთავრობის წერილი ამბობს, რომ რადგანაც ქუთაისის გუბერნიაში დიდი ვიწროობაა და მამული ძვირად ჰფასობს, ხიზნების საკომლონი დიდები არ არიანო. ორთა შუა რიცხვით თითო კომლს ხიზანს მოსდის სახლ-კარის ადგილი არა უმეტესს ერთის ქცევისა*) და სახნავ-სათიბი არა უმეტესს ხუთის ქცევისა. ფულად გადასახადს ძალიან ცოტანი იხდიან, ისიც მარტო ზუგდიდის მაზრაში და კომლზედ მოდის 20—30 მანათამდე წელიწადში. უფრო მომეტებული ნაწილი ხიზნებისა მიწის მოსავალს იხდიანო ერთ მეოთხედიდამ ერთნახევრამდე მოსავლიდამაო, გარდა ამისა სახლ-კარისათვის ქცევაზედ სამს მანათს და ოთხს მანათს ტყისათვისაო. სამეგრელოში უფრო ხშირია ერთი მესამედი მოსავლისა ღალად და იმერეთში ერთი მეოთხედიო, გარდა ამისა ბეგარას იხდიანო რამდენსამე დღეს წელიწადში.

აი ცნობები, რომელიც თვითონ მთავრობამ შეჰკრიბნა და, სამწუხაროდ ჩვენდა, არ ვიცით, რა გზით არიან შეკრებილნი ეს ცნობანი; რა აზრი და საბუთი წაუმძღვარებიათ ხიზნების გასარჩევად სხვა მეკომურთაგან; ყველა სხვისა მიწის მხმარებელი მიუღიათ ხიზნად, თუ მარტო იგინი, ვინც ხიზნობის მართალ წესზედ დაბინავებულან სხვის მიწაზედ. ამიტომაც ძნელია თქმა, რამოდენად მართალია იგი რიცხვი ხიზნებისა, რომელიც აღნიშნულია მთავრობის სიაში. ამ რიცხვის სიმართლეზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამას თქმა არ უნდა. მაინც-და-მაინც ეს კი გულ-დაჯერებით შეგვიძლიან წარმოვსთქვათ, რომ იგი რიცხვი შესაძლოა ნაკლები იყოს და არას გზით მეტი კი არ იგულისხმება. ეს აშკარად საფიქრებელია, რადგანაც ხიზანთა შორის იმისთანანიც არიან მოხსენებულნი, მაგალითებრ, ქუთაისის გუბერნიაში, რომელნიც ხიზნად ძნელი ჩასათვლელნი არიან, იმიტომ-რომ იქ ხიზნებში მოჰყოლიან ისინიც, ვისაც საკომლო მამული აქვთ ნაბატონართაგან და თავის საკუთარიცა და ამასთან სხვის მიწასაც ჰხმარობენ სახნავად. რაკი ცნობების შემკრებელთ ერთი და იგივე აზრი არ წაუმძღვარებიათ იმის თაობაზედ თუ,—ვინ არის ხიზანი და ვინ არა, სარწმუნოდ საგულისხმოა, რომ ხიზანთა რიცხვში ზოგმა იმისთანანიც მოაქცია, რომელნიც სხვის მიწას ხმარობენ არა ხიზნობის წესითა, არამედ სადალეთა, იჯარითა და მებრვე სხვა წესითა.

ახალი ამბავი

*** ობერ-პროკურორი უწმინდესის სინოდისა პობედონოსცევი დღეს დილის მატარებლით წაბრძანდა რუსეთს.

*** წელს სასულიერო სემინარიაში მიუღიათ პირველ კლასში 70-ზე მეტი შეგირდი. პირველი კლასი ორად არის გაყოფილიო, რადგან შეგირდები ბლომად არიანო. ამავე მიზეზით მეორე კლასიც ორად გაჰყვეს წელსაო..

*** ერთს ძველის მწერლობის მოყვარეს უპოვნია რაღაც ისტორიული ხელთ-ნაწერი პოემა მე-XVIII საუკუნისა, რომელიც ჯერეთ ჩვენს მწერლობაში არ არის თურმე ცნობილი. პოემა დაწერილია ვიღაც ფავლენიშვილის-მიერო. შინაარსს ამ „ფრიად შესანიშნავის პოემისას“ ცალკე წერილით გაცნობებთ ამ მოკლე ხანშიო.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნი **„Матеріалы для геологіи Кавказа“**, რომელიც დაუბეჭდია კავკასიის მთათა გამგეობას. ამ წიგნში სულ სამი წერილია დაბეჭდილი, სამივე ერთისა და იმავე ავტორებისაა, ინჟინერის სოროკინისა და გეოლოგის სიმონოვიჩისა. პირველი წერილი შეეხება ახალ-ციხის მაზრის გეოლოგიურ მოვლენათა, მეორე—ქუთაისის გუბერნიის გეოლოგიას შეეხება და მესამე—გეოლოგიურივე გამოკვლევაა მდინარე ჩხირიმლის ხეობისა.

*** უფრო საინტერესოა მეორე რუსული წიგნი, დაბეჭდილი ამავე მთათა გამგეობის უფროსის მიოლერის მიერ. ეს წიგნი ანგარიშია გამგეობის მოქმედობისა წარსულის 1885 წლის განმავლობაში. ეს ანგარიში მით უფრო საინტერესოა, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბლომად არის სხვა-და-სხვა მადნები და მადნეული სიმდიდრე. ზოგან ეს მადნები უკვე მოქმედობენ, ზოგან კიდევ ახალ-ახალი ჩნდება და ამიტომ ბევრს უნდა შეიტყოს, რა მდგომარეობაშია ჩვენში სამადნო საქმე საზოგადოდ. ქართველის მკითხველისათვის ამ ანგარიშში საინტერესოა შავის ქვისა და ქვა-ნახშირის მადნების დღევანდელი მდგომარეობა.

მთათა გამგეობის ანგარიში ამბობს, რომ, თუმცა არავითარი ბაჟი არ აძევს ნავთის წარმოებასა და ქვა-გუნდისასაო, მაინც ხაზინას შეემატა საანგარიშო წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა მადანთაგან 172,181 მანათიო. ხოლო ხარჯი ჰქონდა 73,220 მანათიო. აქედამ 18,820 მანათი დაიხარჯა გეოლოგიურ გამოკვლევათათვის, სხვა-და-სხვა საჭიროებაზედ და ანგარიშების ბეჭდვაზედ, ხოლო და-

---

*) ჩვენებურის ზომის დღიურის სამი ჩარექა.

ფელეტონი

მაცნე *)

დაჭკნობილხარ, დედაო,
რას რა-რა ჰფიქრობ შვილზედა,
ცრემლ რო ჩამოგდის მჩქეფარე
მაგ ხმელს, წაყვითლო პირზედა?
შენი გაზდილი მახარე
წევს მკვდარი კლდისა ძირზედა,
ეტყვიან დარიელასა,
ლაღის მდინარის პირზედა.
ნატყვიარი სჩირს გულშია,
სისხლი ამასდის ნჩქლევითა,
ხელში უჭირავს ფრანგული
გადატეხილი ქნევითა.
შენს რძეს გენაცვლე, დიაცო,
კარგი გაგიზდავ რწევითა!
ღამით მოგვადგა ურჯულო
იმ ვიწროებში მსხდომარეთ,
წინ-წინ ის გადაუფრინდა
ჩვენის გაწყვეტის მოლამეთ,
ხუთს კი დაუხშო ნათელი,
სხვანი ჩვენ თვითონ მოვკალეთ.
ზოგი კლდის ეხში შაგვიძვრა,
სხვათ გადალახნეს მთანია,
ყველამ-კი გადააწითა
მთების ბალახი მწვანია,
ავსტეხეთ ხლმების წკრიალი,
თავზედ დავხვიეთ ალია.
ბევრი იტირებს ჩვენის მტრის
თმა-თაფლა, თეთრი ქალია;
დედილამ ღვინოდ ვაქციეთ
ერთიან თერგის წყალია.
ზოგები დაშინებულნი
მთების ლაჟურმა დალია.

ვაჟა-ფშაველა

---

*) შიკრიკი

* * *

საკვირაო სხარტულა

გააჭირა საქმე პოლიტიკამ.—რა ჩვენი საქმეა პოლიტიკა?—„შინაური საქმეები“.—„ვისიც ჯერ არსო!“—მადლიერი ბარძიმი.—შემომწყრალი ბარძიმი.—„ახ, დრონი, დრონი!“—ჩვენებურნი ებრაელნი.—ახალი და ძველი.—ვინ გაიმარჯვებს?—მერმისი.

ეხლა რაღაც იმ ნაირი დრო დადგა, რომ მტყუანი და მართალი, ყველა პოლიტიკაზე სჯის და დიპლომატებზე ლაპარაკობს. ბალკანის ნახევარ კუნძულის ბედი და უბედობა სწყდება გალავინის პროსპექტზე, კლუბებსა, კანცელარიებსა და ცალკე სახლებში. ბოლგარიის გადაყენებული მთავარი, მუტკუროვი, ცანკოვი, კლიმენტი და სხვანი დღევანდელ-დღის გმირები გახდნენ და აყაყანებენ უთავბოლოდ ჩვენს პოლიტიკოსებს. გამეფდება კვლავ თუ არა უკუქცეული ალექსანდრე? რას იზამს შემდეგში ბ-ნი მუტკუროვი? რა ფანდს მოიგონებს კიდევ ცანკოვი? ვის უძღვნიან ეხლა ლოცვა-კურთხევას ლოცვა-კურთხევის დამრიგებელნი? ვის გააცურებს ყინულზე საბოლოოდ ბ-ნი კარაველოვი? ეს ყველა მეტად საინტერესო საკითხავი საგნებია, რომლის გამოსაძიებლად, ვიმეორებ, იმტვრევს თავს ეხლა არა ერთი ტფილისელი. სახელ-განთქმულის „ბურდუჩნის კლუბის“ წევრები საყვარელის ლოქოს ბოლოსაც არ მიირთმევენ ამ ჟამად ისე, რომ არ ჩამოაგდონ ამ საგნებზე ლაპარაკი და არ უწინასწარმეტყველონ ოსმალეთს სხვა-და-სხვა განსაცდელი. მათ რომ ყური ვათხოვოთ, ვითომ,—ეს გამეფდება თუ ის, ერთი მოიღებს ძალას თუ მეორე,—ოსმალეთს თავისი მაინც არ ასცილდებაო!..

⁂

— მართალნი არიან თუ არა პოლიტიკოსები, არ ვიცი,—ვიცი მხოლოდ, რომ მე არ უნდა ჩამომეგდო ლაპარაკი არც მათზე და არც საზოგადოდ პოლიტიკაზე. არაფერი არ არის ისე ცუდი, როგორც ის, როცა კაცი მაღალ საგნებს დაუწყებს პოტინს და მოჰყვება ბაასს მასზე, რაც მისი საქმე არ არის. და, აბა, მითხარით ერთი, რა ჩვენი საქმეა პოლიტიკა? აი თუნდა ბ-ნს ბარძიმს ჰკითხეთ: პოლიტიკას გამოუჭედნია მისთვის ყურები, ამდგარა ამ ვაი ვაგლახში, კალო-საბძლისთვის თავი დაუნებებია, ჩამოვარდნილა ქალაქში, დარბის გიჟსავით ქუჩებში და ყვირის: «რა ჩვენი საქმეა პოლიტიკაო?» ბარძიმმა აიყოლია ერთი შორს-მჭვრეტელი «ლიტერატორი» და გააწიწმატა იგიც და ისიც ბარძიმთან ერთად იძახის:

— რას მიედ-მოედებით, თქვე ლაწირაკებო, თქვენაო, დაეგდეთ სახლში, ჰბოჭეთ თქვენ თქვენი ლალა გლეხებისაგან და იჭორიკანეთ ერთმა მეორეზედაო. ასე ყოფილა მუდამ და ეხლაც ასე უნდა იყოსო!..

რა თქმა უნდა, რომ ამ შემთხვევაში თვით ჭეშმარიტება ჰლაღადებს ბ-ნის «ლიტერატორის» ბაგითა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, მაინც პოლიტიკოსები კიდევ ისე დანაშაული არ არიან, როგორც ეს ულმერთო მეგაზეთეები. მოჰყვებიან, ბატონო, წილადობილას, კალნოკიმ წარბი აათამაშაო, ბისმარკმა ულვაში გადიგრიხაო, სალისბერიმ თითი გაიქნიაო და სხვა, აშინებენ ყველას და მერმე ისინიც ჰბოდავენ პოლიტიკაზე ციებცხელებიანსავით... ჰა, დაილოცა ისევ უწინდელი დრო, უწინ დიახ რომ დიდი წინდახედულობა გვქონდა ამ გვარ საქმეების შესახებ.

⁂

უწინ, მაგალითად, პოლიტიკაზე ჩვენს საზოგადოებაში კრინტსაც არა სძრავდნენ და არა სძრავდნენ მისთვის, რომ გაზეთებსაც ჰკვიანად ეკავათ თავიანთი თავი. ასტყდებოდა, ვსთქვათ, ევროპაში ერთი ალიაქოთი, ხალხთა და ერთა ინტერესები აირ-დაირეოდა ერთი მეორეში, ცეცხლი მოედებოდა იქაურ გაზეთებს და შეიქნებოდა ერთი ომი, ქლიავილ-კიავილი და ვაივაგლახი,—ჩვენ ქე ვიყავით აგერ კუთ-

ნარჩენი მოსამსახურეთა ჯამაგირს მოუნდაო.

⁂ სომხების დრამატიული დასი უკვე შემდგარა და წარმოდგენების გამართვას დაიწყობს საზაფხულო თეატრში ამ თთვის 22-დამაო. თთვეში 6 წარმოდგენა იქმნებაო. არტისტები ზოგი აქაურები იქმნებიან და ზოგი სტამბოლიდამ არიან მოწვეულნიო. სტამბოლიდამ არიან მოწვეულნი: ქ. ექიმიანი, ვირგინი კარაკაშიანი, ბ-ნნი ადამიანი და მნაკიანი. აქაურ არტისტებითგან დასში იქმნებიან: ქ. სათინიკ ჩმშკიანი, ვარდუი და ბ-ნნი ჩმშკიანი, ავალიანი, ტერ-დავთიანი და სხვანიო.

⁂ დუშეთისკენ, სოფელ კობათკარშიაც სცოდნიათ მარიამობა. 15 აგვისტოს, დღესასწაულზე ახლო-მახლო სოფლებიდგან თითქმის 160 გლეხი დაესწროო. ეს გლეხნი შეკრებილან აქ ეკკლესიის კარზე და გადაუწყვეტიათ, დავაწესოთ ერთხელვე და სამუდამოდ, რომ პარასკევი უქმედ დაიდოს ჩვენს შორისაო. ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა აქაური მღვდელიცაო, რომელიც მოვალე იყო წინაალმდეგობა გაეწია ამ გვარის ცრუ-მორწმუნეობისათვისაო. გლეხებმა სხვათა შორის ისიც დააწესეს, რომ, ვინც ჩვენთაგანმა გასტეხოს პარასკეობით უქმე, ჯარიმა გადაიხადოსო. ამ სოფელში ყოფილა ერთი მცოდნე კაცი და იმას დაუწყვია წინაალმდეგობა, მაგრამ სოფელს მღვდლითურთ ჯარიმა გადაუხდევინებიათ ამ კაცისათვის.

ამ გვარი, პირველის შეხედვით, უცნაური ჩვეულება ბევრგან სხვაგანაც არის გავრცელებული. მაგალითად, ქართლში, ფრონის ხეობაზე, უქმობენ ორშაბათსა. ორშაბათობით არა ჰხნავენ მიწას. ყორნისის ხეობისაკენ კიდევ პარასკევს არ შეუძლიანთ გუთანი გაიტანონ მინდორში. ამბობენ, რომ ამ გვარს ჩვეულებას უთუოდ რაიმე ისტორიული და სარწმუნოებრივი საფუძველი აქვსო, თორემ ხალხი არ ეცდება ტყუილად მეტი უქმეები დააწესოსო.

⁂ ქართლში, სოფ. ტყვიავისა და მის ახლო მახლო სოფლებშიაც მუსრი გაუვლია ჭირს საქონლისათვის. ზოგს მთელი გუთნეული საქონელი გაუწყდაო, ისეთი გუთნეული, რომ სამოც-ოთხმოცი თუმანი ფული ჰღირდაო. ტყვიავს ახლოა სოფელი არბო, სადაც მთელს ქართლში განთქმული ეკკლესიაა წმინდა გიორგისა. ამ ეკკლესიის დღეობა წელს იყო, 17—24 და 31 აგვისტოს, სამის სწორის განმავლობაში. ხალხი სამსავე სწორზედ დიდ-ძალი დაესწრობა ხოლმე გერისთაობას. ამას გარდა სხვა დროსაც აუარებელი მლოცავი ჰყავს ამ ხატსა. არბოს ზევით არის გერის ეკკლესია და იქაც დიდ-ძალი მლოცავი დადის ხოლმე. მლოცავნი ურმით დადიან. ცხადია, რომ ამის გამო ადვილად წაილ-წამოილებენ საქონლის ჭირს და მოჰფენენ მთელს ქართლს, რადგანაც თითქმის ისეთი კუთხე არ დარჩება ხოლმე ქართლისა, რომ ერთი-ორი ურემი მაინც არ წავიდეს არბოს და გზაზე ჭირ-მორეულს სოფლებში არ გაიაროს.

⁂ ახალ-სენაკიდამ გვწერენ, რომ 11 სექტემბერს აქ შეიკრიბნენ თავად-აზნაურნი, მოხელე კაცნი და ვაჭარნი დაბა ახალ სენაკისა. ამათის შეკრების მიზეზი ის იყო, რომ უნდა ამოერჩიათ მზრუნველი და მზრუნველობის რჩევის წევრნი აქ ახლად დაარსებულის ერთ-კლასიანის საქალებო სასწავლებლისათვის. კრებას დაესწრო სენაკის მაზრის უფროსიცა. კრებამ ერთ-ხმად ამოირჩია მზრუნველად ქალი ბ. ვ. ბებურიშვილისა. ეს პატივცემული ქალი აქამდეც ზრუნავდა საქალებო სკოლისათვის და ახლაც, ამორჩევის შემდეგ, იმედია სხვების დახმარებით არ მოაკლებს სკოლას მზრუნველობასა და ხელ-მძღვანელობასა. მზრუნველობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბ. დ-ძე და ან. ბ-ძე ქავთარაძენი და ს. ი. ე-ძე. სკოლა გაიმართება ოფიციალურად 20-ს რიცხვს ამა ენკენისთვისას, ხოლო მანამდე მსურველს შეუძლია ადრევე შეიტანოს თხოვნა ქალის მიღების თაობაზედ. სკოლაში სამი განყოფილება იქნებაო, ხოლო წელს მარტო პირველი, უმცროსი განყოფილება გაიმართებაო. ადგილი იქნება ორმოცამდის მოწაფე ქალთათვისაო.

⁂ «Новое Время» ამბობს რომ პეტერბურგიდამ წავიდა კავკასიაში საბაჟო გადასახადთა დეპარტამენტის დირექტორი ტუხოლკაო.

⁂ გაზ. «კავკაზი» აცხადებს, რომ 14 სექტემბერს ნაშუადღევის პირველ საათზე იქმნება წლიური „აქტი“ ტფილისის რეალურის სასწავლებლისაო. სასწავლებელი სთხოვს ყველას, ვინც-კი თანაუგრძნობს განათლების საქმეს, მობრძანდეს სასწავლებელში და მოისმინოს წლიური ანგარიში მისის მოქმედებისაო.

⁂ ამას წინად «ნარკვევში» მოვიხსენეთ გაზ. „Недѣля“-ს აზრი, რომ ბუნების სიმდიდრეს რუსეთისას არავინ ყურადღებას არ აქცევსო და შემთხვევით თუ წავადგებით და ვიპოვნით ხოლმე რომელსამე მდიდარს მადანს დედა-მიწის გულში დამარხულსაო. იგივე გაზეთი ამბობს, რომ ასევე უყურადღებოთ ვექცევით ჩვენ სხვა გვარ ბუნების სიმდიდრესაცაო. ყოველ-წლობით ერთისა და ერთ-ნახევარ მილლიონის სვიასა ვყიდულობთ და მოგვაქვს სამზღვარ-გარეთიდამაო, დიდს ფულსა ვხარჯავთ და ვთესავთ ამ მცენარეს ცივს ალაგებში მოსკოვის ახლოსაო, მაშინ, როდესაც კავკასიის ტყეები სავსეა სვიითა და თავის თავადა ხარობსო. სამზღვარ-გარეთვე ვყიდულობთ სხვ-და-სხვა მცენარეთაგან გამოხდილს ზეთსა და სამკურნალო სასმელს, როგორც მაგალითად გენაგერჩაქის(клещевина) ზეთსაო, წყავის (лавро-вишня) «კაპლებს» ვარდის წყალს და სხვანიო, მაშინ როდესაც ყოველივე ესე კავკასიიდამ რომ მოგვქონდეს, ბევრად იაფად დაგვიჯდებოდაო: ერევანის გუბერნიაში ძალიან ბევრია გენაგერჩაქიო, წყავი აუარებელია ქუთაისის გუბერნიაშიო, ვარდის წყალის და სხვა სურნელოვან ბალახთა ნადუღის წარმოება ძალიან ეხერხებათ და ეადვილებათ იმიერ-კავკასიის მკვიდრთაო და სხვანი და სხვანიო. როცა ჩვენ სააქციზო წესდება შევადგინეთო, ამბობს შემდეგ გაზეთი, ფიქრადაც არავის არ მოუვიდა, რომ ჩვენში შესაძლებელი იყო მაგისთანა საქმე და ამ წესდებით აღკრძალულ იქმნა, რომ გამოსახდელი ზარფუშინი ქვაბი ჰქონოდა ვისმე იმის გარდა, ვინც, მთავრობის ნება-რთვით, არაყსა ჰხდიდაო. ყველა ზემოხსენებულ წარმოებისათვის-კი საჭიროა ზარფუშინი ქვაბიო და აი ამიტომ იმიერ-კავკასიის მკვიდრნი იძულებულნი არიან, რომ თავიანთ ხელობას ფარულადა და ქურდულად მისდიონო.

⁂ 11 სექტემბერს, ღამე, ტფილისის მოქალაქეს ბაგრატ ტერ-მოსესოვს ჩხუბი მოსვლია თავის ცოლ მარიამთან და ხანჯლით დაუჭრავს. დაჭრილს სამკურნალო შველა მიეცა და გამოძიება ამ საქმისა გარდაეცა გამომძიებელსაო.

ნაკვესი

კახეთიდამ მოწერილ წიგნში ამოკითხული:

„... გამომიგზავნეთ პერნატკი ლაიკოვანი და ბაშმაკი ბატინკოვანი.“

ლელო

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ნაქალაქევი (სამეგრელო), 9 სექტემბერს. გამეგონა ნაქალაქევის სამკურნალო წყაროს ქება. ეს წყარო ბევრს სნეულებასა და სატკივრებსა ჰრგებსო, ამბობდნენ ჩემი ნაცნობნი ეს მადნეული წყალი უფრო ქარებიანსა ჰრგებსო და აგრეთვე კუჭისა და სტომაქით ავად-მყოფებს აძლევს შვებასაო. მეც ავდექი და როგორც სნეული კაცი გავემგზავრე ნაქალაქევისაკენ. აბანოსთან მისავალი გზა ვერაფერი სასიარულოა. კაცი უნდა გავიდეს მდინარე ტეხურას ხიდზე. ეს ხიდი 4 ან 5 საჟენის სიმაღლეზედ არის გადებული და სწორედ ბეწვის ხიდსა ჰგავს. ამ საშიშარს ხიდზე მიჩვეულნი კიდევ როგორმე გადიან, შორიდამ მოსულნი-კი თვალ-ახვეულნი გაჰყავთ აქაურებს. სწორედ სიცოცხლე ან მობეზრებული უნდა ჰქონდეს კაცსა ან დაზღვეული, რომ გაჰბედოს და ამ ხიდზე გავიდეს. ივლისის 1-დამ, ვიდრე 20-მდე მივიდე 30 ვანა დიდის გაჭირებით. როცა ერთს მისცემს ნებას ამ წყლის მოიჯარადრე აუზში შესვლისას, იმავე დროს სხვებსაც უშვებს შიგა. თითო აუზში ოთხი და ხუთი კაცი უთუოდ ერთად უნდა ბანაობდნენ. თუ ხალხი ბლომად არ არის, ისე რომ თუ თითო აუზზე ოთხი და ხუთი კაცი არ მოდის, მოიჯარადრე არავის არც-კი აძლევს ნებას აბანოში შესვლისასა. ერთს დილას, საათის 5 ზედ, აბანოს კარებზედ 19 სული ქალი თუ კაცი მოგროვილიყო და ელოდა ნებას აბანოში შესვლისასა, მაგრამ აბანოს კარებს არ უღებდნენ. ვიკითხე: რა არის მიზეზი, რომ აბანოს კარებს არ აღებენ-მეთქი და ასე მიპასუხეს: სულ ოთხი აუზია აბანოში და ბრძანება აქვს მეაბანოეს, რომ თუ თითოეულ აუზზე ხუთი კაცი არ მოდის, კარს ნუ გაუღებო. ორმოცამდე სადგომი ოთახებია და თითო ოთახზედ გადაწყვეტილი ფასი არის დადებული—დღე-და-ღამეში 1 მანათი. ზოგ ოთახებში როგორმე დაედგომინება კაცსა და ზოგს კარი და ფანჯარა დამტვრეული აქვს, მაგრამ ფასი მაინც ერთი მანათია. ამას გარდა აბანოს აუზები ცუდად არის გაკეთებული. ერთ აუზიდგან აშკარად სჩანს მეორე აუზში ვინა ბანაობს. გარდა ამისა, მეაბანოეს როდესაც ჰნებავს, თავის ამხანაგებით მაღლიდგან დასცქერის შიშველს ქალებს. ამ ნაირის უწესოებით ძრიელ შეწუხებული იყვნენ სამკურნალოდ მისულნი. ერთის სიტყვით, ამ აბანოებში სრული უწესოება ჰსუფევს: არც რაიმე მოწყობილობა, არც აუზების გასუფთავება და არც არაფერი. აქ ერთი მედუქნეა და პირობა აქვს, რომ იმის მეტს არავის არ შეეძლოს ვაჭრობა. ეს მედუქნე ნახევარ გირვანქა თორნის პურს 5 კაპ. ჰყიდის, ერთს გირვანქა თხის ხორცს 15 კაპ. და ძროხის ხორცს თვალითაც ვერავინა ჰნახავს; ორ შაურიან მოხარშულს წიწილას 50 კაპ. ჰყიდის. ერთის სიტყვით, ამ მედუქნემ ტყავიც რომ გააძროს ხალხსა, დამშლელი არავინ არა ჰყავს. საკვირველია, რომ აქაური დადიანები, რომელთაც ეკუთნის ეს ზემოხსენებული ნაქალაქევის აბანო, მომეტებულს ყურადღებას არ აქ-

---

ხეში ჩუმად და ყურსაც არ ვიბერტყდით, თუ რა ამბავია ქვეყანაზეო... არ გვინდოდა ბარძიმები განცხრომიდამ გამოგვეყვანა... სამაგიეროდ, სულით და გულით გატაცებული ვიყავით „შინაურის საქმებით“. ჰო, ამ შემთხვევაში ჩვენ მართლა რომ არა გვყავდა ბადალი მთელ ქვეყნიერობის მწერლობაში!.. ყოველი საინტერესო და საყურადღებო შინაური მოვლენა ათასნაირ მითქმა-მოთქმას და აზრთა მიმოცვლას გამოიწვევდა ჩვენში.—დაიბადებოდა, ვსთქვათ, ორ-თავიანი ყმაწვილი—ნახევარი გაზეთი ამ ორ-თავას ეკავა და იზიდავდა ბარძიმების ყურადღებას. წაიკითხავდა ამას ბარძიმი და დაალებდა პირს: „აი რა კაცები ვყოფილვართო!“ ჩამოდიოდა მემრე და მადლობას გვეუბნებოდა: «კაციც თქვენა ყოფილხართ და ქუდიც თქვენა გხურებიათო!»

ჩაიჯიბებდა თუ არა ჯანაბეთის „ტარშინა“ ერთს ორ-შაურიანს,—სამ-ადლიანს წერილს გავჭიმავდით ხოლმე არხეინად სადაც რიგი იყო და ამ სამ-ადლიანს ზედ დავუმატებდით კიდევ ერთ-ადლიანს ეპისტოლეს და დიდ გულად, თავ-მოწონებით ვიძახოდით: „მიგვიქცევია ამაზედ ყურადღება, ვისიც ჯერ არს!“... წაიკითხავდა ამას თუ არა ბარძიმი, აცქეიტავდა ყურებს: „აი რა კაცები ვყოფილვართო!“ ჩამოდიოდა მემრე და მადლობას გვეუბნებოდა: „კაციც თქვენა ყოფილხართ და ქუდიც თქვენა გხურებიათო!“... მივაქციე ყურადღებაო!“

რომლისამე მნათეს უმართებულო ქცევა, დიაკვნის სხაპა-სხუპით კითხვა, სოფლელ მეველეს ოინი,—ეს სულ „შინაური საკითხავი საგნები“ იყო და საბარძიმო განძადა გვქონდა ცნობილი. და არა თუ მარტო ეს, უფრო უდიდესი საგნებიც კი არა რჩებოდნენ უყურადღებოდ. ინდაურს ვერ დაჰკლავდით სოფელში, სადილს ვერ მიართმევდით სტუმრებს ისე,—რომ რაიმე კილი არ მოგვენახა და არ „ჩაგვეგდეთ“ გაზეთში.

— ცივი, ძლივნად მოტანილი გოჭი გაასაღა, ყურუმსალმა მასპინძელმა, და დაკლული ინდაური კი, რომელიც, როგორც „ჩვენ ნამდვილის წყაროებიდამ ვიცით“, მომზადებული ჰქონდა სახლში, საოჯახოდ შეინახა თავისთვისო და სხვა... წაიკითხავდა ამას ბარძიმი და იძახოდა:

„აი რა კაცები ვყოფილვართო!“ ჩამოვიდოდა მემრე და მადლობას გვეუბნებოდა: „კაციც თქვენა ჰყოფილხართ და ქუდიც თქვენა გხურებიათო!“ ეგრე უნდა იმ ყურუმსალსაო: შემწვარი ინდაური კი შეინახა და ცივი გოჭით კი დახეთქა სტუმრებიო!“

ეხლა კი...

ეხლა, ბატონებო, სულ ავრიეთ მიმართულება, დავკარგეთ ლოგიკა, წავბილწეთ ენა და მივყევით ხელი პოლიტიკას და საწყალ ბარძიმს ყურები გამოვუჭედეთ იმაზედ, რომ ირლანდიელები თავისას თხოულობენო...

კითხულობს ამას ბარძიმი, ყურების აცქვეტის მაგიერ ჩამოჰყრის ყურებს და იძახის: „რაებს მიჰქარავენ!“ მოდის მემრე ქალაქში და, წინანდელ მადლობის მაგიერ, სამდურავს გვეუბნება: „არც კაცები ჰყოფილხართ და არც ქუდები გხურებიათო!“

მოდი და გაამტყუნე ეხლა ბარძიმი!..

ახ, დრონი, დრონი,
ნაქებნი მტკბარად,
წარვიდნენ, გაჰქრენ,
სიზმარებრ ჩქარად,—

ვიტყვით ჩვენც ჩვენის მხრით და დაუსვამთ აქ მრავალ-ნიშნოვანს წერტილს..

⁂

თუმცა ამისთანა მომხრეები უჩნდებათ ძველ წესებს ზოგიერთ „ლიტერატორებში“, მაგრამ იქ კი, სადაც ეს წესები თითქმის კანონად იყო ცნობილი, მათ ლამის აბრუ გაუტყდესთ და სახელი გაუცუდდესთ სამუდამოდ. ეს მეტად საგულისხმო მოვლენაა ეხლანდელის დროისა და ამისათვის საჭიროა ვსთქვათ მასზე ორიოდე სიტყვა.

— იცით თქვენ, მკითხველებო, რა შეუვალ სიმაგრეს, რა ჩინეთის კედლით გარ-შემოზღუდულ წრეს წარმოადგენდნენ ამდენხანს ჩვენი ეგრედწოდებულნი ქართველი ებრაელები? მართალია, ეს განცალკევება მარტო რჯულით და სარწმუნოებით იყო გამოწვეული, მაგრამ მით უფრო მტკიცე და შეურყეველი იყო იგი. სამწუხარო და თან გასაოცარიც ის არის, რომ ეს მიუწდომელი შიში სარწმუნოებისა გამო და მისგან გამოწვეული განცალკევება ებრაელებისა სულ უკანასკნელის დროის ნაამაგარი რამ არის და არა ჩვენის ისტორიულის ცხოვრების ნაანდერძევი ნაყოფი. ებრაელები ჩვენში არასოდეს არა ყოფილან დევნილნი ისე, როგორც სხვაგან, არასოდეს მათი ეროვნული და სარწმუნოებრივი „წმიდა წმიდათა“ არა ყოფილა შებღალული და ფეხქვეშ გათელილი, როგორც სხვა ქვეყნებში. ქართველი ებრაელი—იგივე ქართველი იყო, მხოლოდ ისრაილის სარწმუნოებისა. ეს, სხვათა შორის, იქიდამაც სჩანს, რომ ენა, ტანისამოსი, ჩვეულებანი და მიდრეკილებაც კი ჩვენის ხალხისა აქვსთ შეთვისებული ძველის დროიდამ და არც უნდათ და არც ეძიებენ სხვისას. ისტორიამ დაგვაახლოვა ერთი-მეორესთან, ისტორიამ შეგვაჩვია ერთი-მეორეს და ისტორიამვე დასდვა ჩვენ შორის იდუმალი კავშირი, რომელიც, იმედია, გაუწყვეტელი დარჩება სამუდამოდ...

⁂

მიუხედველად ამისა, ვიმეორებ, ებრაელთა განცალკევება ამ ბოლოს დროს ყველასათვის შესამჩნევი და ყველასაგან ცნობილი ფაქტი იყო და

ცეეენ ამისთანა კარგს სამკურნალოს და ძრიელ სასარგებლო წყაროს. ეს აბანო რომ კარგად იყოს მოწყობილი, შემოსავალი ბევრად მეტი იქმნებოდა, ვიდრე ეხლა არის.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დღეს კიდევ ჩვენის მკითხველების ყურადღება უნდა მივაქციოთ გაზეთ „Русскія Вѣдомости“-ს ფელეტონს. გაზეთში ფელეტონად დაბეჭდილია შჩედრინის ორი პატარა მოთხრობა. ორივე მაღალის აზრით და გრძნობით სავსეა, როგორც ავტორის ნიჭსა და კალამს შეჰფერის. მართალი სიტყვა და ამისთანა სულის წუხილი, დატანჯულის გულის ტკივილი და კვნესა ისმის ამ მოთხრობებში.

აი, მაგალითად, ერთი ადგილი პირველის მოთხრობიდამ.

მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე მოევლინა ხალხს ქვეყნად. მრავალი ხალხი წარსდგა ქრისტეს წინაშე და ყველა რაიმე ნუგეშს და ცოდვის მოტევებას მოელოდა ნუგეშის მცემლისაგან. წარმოსდგა მაცხოვრის წინაშე, სხვათა შორის, ქრისტეს გამცემი იუდა-ისკარიოტელი, საზარელის წყლულით და იარებით ტანზე. იუდა ერთს წყალობასა სთხოვს ქრისტეს: არ მინდა სიცოცხლე, სიკვდილი მომანიჭეო.

მე ყველას ვუჩვენე გზა საუკუნო ცხოვრებისა, — უპასუხა მაცხოვარმა იუდას, შენთვის კი, იუდავ, მოღალატევ, დახურულია გზა ცხონებისა. წყეულხარ ღვთისაგანაც და კაცისაგანაც, წყეულხარ საუკუნოდ. იცხოვრე ქვეყანაზე, წყეულო! და იყავ მომავალ კაცობრიობისათვის მოწმად იმ განუწყვეტელ ტანჯვისა, რომელიც მოელის ყოველს მოღალატეს. ადექ, აიღე კვერთხის მაგიერ იმ ხის ტოტი, რომელზედაც შენ თავის ჩამოხრჩობა გსურდა, და წადი, იარე ქვეყნადა!

მისწუდა მრისხანე სიტყვა მაცხოვრისა, აიღო იუდამ კვერთხი და წავიდა. დადის იუდა მას აქედ დღემდე და სთესს ქვეყანაზე არეულობას, ღალატობასა და მტრობას.

მოგვყავს მეორე მოთხრობიდამაც ერთი ადგილი.

მიდის გზად ორი გლეხი; მიდიან და ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ თავიანთ ბედ-შავ ყოფა-ცხოვრებაზე. სხვათა-შორის ლაპარაკი სიმართლეზედაც ჩამოვარდა. სად არის სიმართლე, სად იმალება ეს სიმართლეო? იკითხეს ორთავ ერთად და დაჩუმდნენ. მერე მოაგონდათ, რომ უწინაც, ჯერ კიდევ განსვენებულ ბატონის სიცოცხლის დროს ერთი მოხუცი ეძებდა სიმართლეს და ამ სიმართლემ კი ეს უბედური მოხუცი სრულიად დაასახიჩრა.

— შიმშილს და სიცივეს ვითმენთ, ყოველს წელს ველით: იქნება გვეშველოს რამე... ველით, მაგრამ როდემდისინ? ან იქნება სიმართლე არც კია ქვეყანაზე! ისე ტყუილად მიდ-მოედება უსაქმო ხალხი: სიმართლე, სიმართლეო... აბა სად არის ეს სიმართლე?!

— აი იმ დღეს მოსკოვში ერთი ვიღაც მწიგნობარი მეუბნებოდა: სიმართლე ჩვენს გულშია ჩანერგილიო... სიმართლის გზაზე იარეთ და თქვენც სიკეთე მოგეცემათ და სხვასაცაო.

— მაძღარია, ეტყობა, ის ვიღაც მწიგნობარია, იმიტომ ჰბოდავს მაგებსა...

დაიღალნენ გლეხები სიარულით და დასხდნენ დასასვენებლად. წინ გაშლილ, ტრიალს მინდორს თვალი არ გადასწვდებოდა.

შეჰხედეო, ეუბნება ერთი გლეხი მეორეს, რა თვალ-გადუწვდენელი, გაშლილი სივრცეა!... ყველას ადგილი აქვს...

⁂

გაზ. „Новое Время“-ში ერთს საინტერესო ამბავს ვკითხულობთ, რომელიც თუ მართალი არ არის, კარგად მაინც არის მოგონილი.

როგორც გაზეთებიდამ ვიცით, ბათუმში პორტო-ფრანკოს გაუქმება ძალიან არ იამათ ინგლისელებს. სალისბერი, რაკი პირველ მინისტრად დაჯდა, ბისმარკს მოსვენებას აღარ აძლევდა თურმე: რუსეთის წინააღმდეგ რამე საშუალება უნდა ვიხმაროთ, შენც უნდა ჩვენ მხარი მოგვცეო.

— თუ რუსეთზე გული ნაკლულადა გაქვთ, პირ-და-პირ ომი დაიწყეთო, ჭკვიანად ურჩია თურმე ბისმარკმა. მზადა ხართ საომრადა? საკმაოდა გაქვთ ფული, მზადა გყავთ ჯარები როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზეო?

— ფული გვაქვსო, უპასუხნია ვითომ ინგლისის პირველს მინისტრს, ზღვაზედაც თუნდ დღესვე გამოვალთ სრულიად მომზადებული საომრადაო. და აი ეს ხმელეთის ჯარი კი ცოტა გვეუქრება: 35,000 კაცი ბირმანიაში გვყავს დაბანდებულიო.

ბისმარკი გაჩუმდა და სალისბერს აღარაფერი პასუხი არ მისცაო. ცბიერმა ინგლისელმა ვერ მოატყუა დინჯი ნემეციო...

უცხოეთი

ბოლგარია. „კელნის გაზეთის“ სიტყვით, ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას დ—რი სტრანსკი დაუნიშნავს ბელგრადში ბოლგარიის წარმომადგენლად და დიმიტროვი სტამბოლში.

— სოფიიდამ დეპეშით ატყობინებენ «Berl. Tag.»: 9 აგვისტოს ამბოხების მონაწილეთა შესახებ გამოძიება მაინც სწარმოებს, თუმცა რუსეთმა წინააღმდეგობა გამოაცხადა და მოითხოვა, რომ აღრეულობის მოთავეთ ნუ დასჯითო. მეტკუროვი და ნიკოლაევი იმუქრებიან, რომ არეულობას მოვახდენთ, თუ ნებას არ მოგვცემენ, რომ მეამბოხე ოფიცრები დავსაჯოთო.

— უცხოეთიდგან ბოლგარიაში მისული კორრესპონდენტები ცდილობენ გაიგონ ბოლგარიის ეხლანდელ მართველთაგან, რა მდგომარეობაშია ბოლგარიის საქმეებიო, მაგრამ როდოსლავოვი ამისთანა ცნობის-მოყვარეებს დიდთა სახელმწიფოთა ელჩებთან ჰგზავნის და ამ სიტყვებით ისტუმრებს თურმე არა-მკითხე კორრესპონდენტებს: წადით იმათთან, იმათ იციან, ისინი მოქმედებენ და ზრუნავენ ბოლგარიის ბედზედაო. სტამბულოვი კი ძალიან მედიდურობს და თავისი ოცნებას ნამდვილ ჭეშმარიტებად მიაჩნიაო. სტამბულოვი დარწმუნებით ამბობს თურმე, რომ ეხლანდელი სარეგენტო მთავრობა სამ-ოთხს თთვეზედ მეტს ვერ გასტანსო. მეო, სხვათა შორის უთქვამს სტამბულოვს, დიდი იმედი არა მაქვს ინგლისისა, ინგლისი მარტო სიტყვით თუ განუგეშებს, თორემ სხვას იმისაგან არას გამოველითო. შემდეგ სტამბულოვს ისეთს საგნებზედ დაუწყვია ლაპარაკი, რაც იმას არ შეეხება და რაზედაც იმისი ხმა მეტი და უადგილოა: «ეხლანდელს რეგენტობას კანონიერად ჩასთვლის რუსეთი, თუ უკანონოდ, ჩვენთვის სულ ერთიაო. საერო კრებას ჩვენი მხარე უჭირავს და ჩვენს მტრებს კი კრიჭაში უდგაო, დაუსრულებია თავისი სიტყვა სტამბულოვს.

საფრანგეთი. საფრანგეთის გაზეთები აყაყანებულან იმ ამბავზედ, რომ ინგლისს უნდა ეგვიპტე დაიჭიროსო. აი, მაგალითებრ, გაზ. „France“ რასა სწერს ამის თაობაზედ: ვიდრე საფრანგეთის ერი ცოცხალია, ჩვენ ნებას არ მივცემთ, რომ ბრიტანიის ხარბობამ გაიდგას ფეხი ეგვიპტეშიო, იმ ქვეყანაში, სადაც რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ჩვენი სისხლი იღვროდა, ჩვენი ოქრო იხარჯებოდა და ამითი აჰყვავდაო. მთელის ცივილიზაციის ისტორია ხმელთა-შუა - ზღვასთანა სწარმოებდაო. ამ ზღვის განთავისუფლება უფრო ჩვენი მოვალეობა, ვიდრე რეინის პროვინციების დაბრუნებაო. მაშინ, როცა ელზას - ლოტარინგია დავკარგეთ, ომი გვქონდა მაინც, სისხლი დავღვარეთ, წინააღმდეგობას გვიწევდით, მაგრამ ეგვიპტე-კი ისე გამოგვაცალეს ხელიდამ, რომ კრინტიც არ დავგიძრავს. რამდენადაც დამცირებულნი ვართ, იმდენად უფრო მოუთმენლად მოველით სამაგიეროს გადახდას. ჩვენ ჯერ არ დაგვივიწყებია ინგლისის სილა, ჯერ კიდევ აგვდის ლოყებზედ ამ სილის ალმური. დეე ინგლისის გაზეთები გაერთნენ, ისიამოვნონ იმით, რომ ეგვიპტე ტუნისსა და გებრიდის კუნძულებს შეადარონ, ჩვენ არ მოვსტყუვდებითო. არას დროს არ შეარცხვენს თავს საფრანგეთი და ნებას არ მისცემს ინგლისს, რომ ეგვიპტეს წაეპოტინოსო.“

ბიბლიოგრაფია

ახლად ნაპოვნი ლექსები მეთვრამეტე საუკუნის ნიჭიერის მწერლის ბესარიონ გაბაშვილისა, რომელიც ცნობილია „ბესიკად“.

მუსტაზადი თურქთ ხმასა ზედა (სიმღერა).

მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, წაველ ჭირებსა;
ანდამატისებრ მიმიზიდავ, ვჰგავ ნაშირებსა;
ვარდის ბაგენი მშვენიერად სხვა მაშირებსა(?),
ჩემებრ უწყალოდ მიიყვანენ გასაკვირვებსა.
როდის იქნება შემომხედო გულსა მჭირებსა?

—

ეტლ მშვენიერად მოჭრილი გამსგავსე მთვარეს;
შენის ეშხითა მასა შევტრფი, დამე ვვლი გარეს.
უცხო შევიქენ ცნობისაგან, ვარ ჭირსა მწარეს;
უსამართლობამ, მიკვირს, როგორ ვერ შეგაზარეს.
არ ვიცი, ვისას გასწყრომიხარ რჯულსა-ფარებსა.

—

თვით შენმა გულმა კარგათ იცის, ვარ შენი მკვდარი;
შენმა სურვილმა ჩამოდია გული კლდე მყარი.
პირველ შაქრისა გემო იყვ, ახლა ხარ მწარი;
სამართლიანი გზა დაავდე, დამიხშე კარი...
ვინც რომ ამ ჭირში დამინახავს დამიტირებსა.

—

მე ტკბილის გულით შემოგყურებ, შენ მემალები.
გინდა, რომ მოვკვდე შეუყრელი, არ გებრალები.
რამდენის რიგით ცეცხლით დამწვი, მით მჭირს ძალები!
შენსა მიჯნურსა შენი მოჰკლავს ცეცხლის ალები...
ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებსა.

(ერთი შაირი აკლია)

მეორე ახლად ნაპოვნი საარშიყო და სასიმღერო ლექსი იმავე მგოსნისა. (ამ გვარ ლექსს თურქნი „ბალაი ბანდუმ ლაილას“ უწოდებენ.)

გაი საბრალოვ...
სტვენს ბულბული ვარდსა ზედა,
ხმა საბრალოდ მეამედა,
კოცნა ველარ გაბედა...

არის კიდეც. ცხადი არის, რალაც დროებითმა მოვლენამ, რალაც შემთხვევამ,—შესაძლოა, უბრალო მიუხდომლობამ დაჰბადა ეს სამწუხარო შედეგი და როგორც მსწრაფლ-მოვლენილი მსწრაფლ-წარმავალიც უნდა აღმოჩენილიყო იგი საბოლოოდ. საჭირო იყო მხოლოდ ერთი რამ, რომელიც ჩვენთან ერთად აკლდათ ებრაელებს და რომელიც მეტის-მეტად უშლიდა და აბორძიკებდა მათ გამოფხიზლებას. ეს ერთი რამ—სწავლა-განათლება გახლავსთ, ის დიადი და ძლევა-მოსილი ძალა, რომელიც ერთს და იმავე დროს თვალის-ამხელი თილისმაცაა და მოსაგერებელი ხმალიც. ხოლო ჩვენი ებრაელები კი არა თუ ეძიებდნენ,—თითქო განგებ გვერდს უხვევდნენ და ზურგს აქცევდნენ ამაებს. ამის მიზეზი ერთი-ღა იყო მხოლოდ: იმათ ეგონათ, რომ განათლება ბოლოს მოუღებდა სარწმუნოებას და ამ გვარად ხელიდამ გამოაცლიდათ იმ განძს, რომელიც მათ სიცოცხლეზე უძვირფასესადაც კი მიაჩნიათ ხოლმე...

⁂

მით უფრო სასიამოვნოა მაშასადამე, რომ ამ ტყუილის შიშის უსაფუძვლობა თვითონვე სცნეს ებრაელებმა და მხნედ შეუდგნენ თავის ცხოვრების განახლების და გადახალისების საქმეს. . ქართველმა საზოგადოებამ, შესაძლოა, არც კი იცოდეს ჯერ,— რა ამბავია ჩვენს გვერდით და რა აზრთა ღენა ასტყდა ჩვენებურ ებრაელებთა შორის.

ეს მეტად საინტერესო საგანია და ამისათვის ნება მომეცით მოკლედ გადმოგცეთ ის, რაც გავიგონე ამ ცოტა ხანში თვით ებრაელებისაგან...

საქმე იმაშია, რომ ჩვენებური ებრაელები, როგორც ქუთაისისა, მაგალითად, ორ დასად არიან გაყოფილი ამ ჟამად. ერთს უნდა განაახლოს და განაკარგოს თავისიანების ცხოვრება განათლების შემწეობით, უნდა დაუახლოვოს იგი ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებას და მოიშოროს თავიდამ ყოველი განსაცალკევებელი საგანი, გარდა სარწმუნოებისა.—„ჩვენ აქაურნი ვართო, ამბობენ იგინი სრულიად საფუძვლიანად, ხოლო ისრაილის სარწმუნოებისაო.“ ამისათვის ისინი ყოველის ღონის-ძიებით სცდილობენ, რომ რაბინის ადგილზე, რომელიც ეხლა, ძველის რაბინის სიკვდილისა გამო, დაცარიელდა, ახალგაზდა, სწავლული და განათლების თავ-გამოდებული მომხრე კანდიდატი დანიშნონ.

⁂

მეორე დასი კი სულ სხვას ამბობს და სხვა აზრს ადგია. მისი მომხრენი სულ უფრო ძველნი კაცნი არიან... ამათ ასე ჰგონიათ, რომ თუ კი რამე ისწავლეს და თავისი ევროპიელ თანამოძმეთ დაემსგავსნენ—სარწმუნოება ძირი და საფუძველი შეერყევაო და ევროპიის მოძღვრების სიო ფერს უცვლისო. ამისათვის ისინი სულ იმის ზრუნვაში არიან, რომ როგორმე დაინარჩუნონ ძველი წეს-წყობილება, და ძველი შემოზღუდულობა, რომელშიაც თვითონ გაზრდილან და რომელსაც შესჩვევიან და შესთვისებიან. ამათი კანდიდატი—ნამდვილი მათი მიმდევარი და თანამოაზრეა... ვინ გაიმარჯვებს ჯერ-ჯერობით ამ კანდიდატებში,—ეს ყველასათვის ცხადია. ძველის მომხრენი, რასაკვირველია, უმეტესობას შეადგენენ და ყოველ ღონეს ხმარობენ, გაიყვანონ თავისი და რადგანაც უფრო შეძლებულნი არიან, ამბობენ, ფულებსაც თურმე არა ჰზოგვენო. ხოლო ახალის მიმდევარნი ამას არა ჰკადრულობენ და უფრო რიგიანს და საკადრისს საშუალებას ხმარობენ თავის კანდიდატის გასამარჯვებლადო...

⁂

დღეს ვისაც უნდა დარჩეს ბურთი და მოედანი, მერმისი მაინც ახალთაობისა უნდა იყოს. ადრე იქნება თუ გვიან, ახალ-ცხოვრების შუქი მოჰფენს სინათლეს ჩვენებურ ებრაელთა აწმყოს. საკაცობრიო განათლების, მეცნიერების და ერთობ ცივილიზაციის ზედ-მოსევას ვერა ზღუდე ვერ გაუძლებს. თვით საკაცობრიო განათლება, მეცნიერება და ერთობ ცივილიზაცია არა ერთს დიდ-სახელოვანს მოღვაწეს ებრაელს იხსენიებს თავის წარმატების ისტორიაში, სასახელოდ ებრაელთა ერისა. შორი არ არის ამისთანა მერმისი ჩვენებური, ებრაელებისათვის. ეხლაც კი რამოდენიმე მათგანი ჰგრძნობს განათლების და მეცნიერების საჭიროებას. არა ერთი მაგალითი ვიცით დღეს, რომ ჩვენებური ებრაელები სწავლობენ გიმნაზიებში, რომ მათი ჭკუა და გონება მიიზიდება ახალ იდეალებისაკენ,—მოვა დრო, ვამბობ მე, და ეს მიმართულება საერთო გახდება და გამოიყვანს ჩვენებურს ებრაელებს ნამდვილ გზაზე. მაშინ მათი შრომა და მათი მოქმედება საზოგადო სარბიელზე ისე ვიწრო და უფერული როდი იქნება, როგორც ეხლა არის. როგორც ბუნებით ნიჭიერი და ყოველგვარის სულიერის თვისებებით უხვად მიჰმადლებული ერი, იგი გამოიჩენს თავს ვაჭრობაში, მოხელეობაში, მეცნიერობაში და მწერლობაშიაც... თუ კი ევროპაში ამდენი სახელ-განთქმული და გამოჩენილი მწერლები და მეცნიერებია ებრაელებთაგანი, ნუ თუ ჩვენი ებრაელები იმავე ტომის არ არიან, რომ ჩამორჩენ მათ უკან და არ ისახელონ თავი?

ჩვენ გულ-წრფელად ვისურვებთ, რომ ეს დრო მალე მოვიდეს ჩვენდა სასიამოვნოდ და ებრაელთავე სასახელოდ და სასარგებლოდ.

— ილია ხონელი

გაი საბრალო აიარა!
ხმა დამთვრალო აიარა!
რას მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის გაი რა.

—

გაი საბრალო...
ეტყვის: ვარდო, შენი სახე
ოდეს ვნახე, მექმნა მახე;
შენსა ფერსა სული გახე...
გაი საბრალო აირა!
ხმა დამთვრალო აირა!
რას მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის, გაი რა!..

—

გაი საბრალო...
ვარდმან პირი არა შალა,
უმზეობით დაემალა;
ბულბულს სული გაეცალა...
გაი საბრალო აირა,
ხმა დამთვრალო აირა!
რას მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის გაი რა.

—

გაი საბრალო...
ყელი გარდაგდო ბულბულმან,
სიცოცხლის ცვარ დაგუბულმან...
შეჭბრალდა, ხმა ჭყო სუმბულმან...
გაი საბრალოვ აირა!
ხმა დამთვრალო აირა!
რას მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის გაი რა!

—

გაი საბრალო...
ვარდს ბულბული შეეწყალა,
ლალის ფერდა გარდაშალა,
მაჯნურს მიხვდა სულის ძალა..
გაი საბრალო აირა!
ხმა დამთვრალო აირა!
რას მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის გაი რა!

—

დავით რექტორის სიტყვით, ორივე ზემო მოყვანილი ლექსი ნამდვილად ეკუთვნის ბესარიონ გაბაშვილს. ბესარიონი ყოფილა შვილი ცნობილის მწერლის (სატირიულ პოემის „კატის ომის“ ავტორის) მეფის თეიმურაზ მეორის მოძღვრის დეკანოზ ზაქარია გაბაონისა. განდევნილმა საქართველოდგან მეფის ერეკლეს მიერ, ბესარიონმა გაატარა უკანასკნელნი წელნი თვისის ცხოვრებისა სამხრეთს რუსეთში ერთად მთავარ ეპისკოპოზ გაიოზთან და რუსეთშივე მოკვდა და დაიმარხა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს. განდევნის მიზეზი, იტყვიან, სიყვარული იყოვო ბესარიონისა მეფის ქალიშვილთან, რომლისათვის არა-ერთი საარშიყო ლექსი უძღვნია მიჯნურ მგოსანს. ამავე აზრისა იყო, ეგონებთ, თვით დავით რექტორიც, როგორც ბუნდად სჩანს შემდეგის მისის სიტყვებითგან: „ბესარიონს გარდად და იად თქმული უყვარდა და იასაც ბესარიონი უყვარდა. როდესაც ბესარიონ მოტყუედა სხვის შეყვარებით, იამ შეიტყო და თავისთან აღარ გაატარა. მაშინ სთქვა: „სევდის ბალს შევედ....“ (იხ. ქრისტომატია ჩუბინოვისა, გვ. 95). შემდგომად ბესარიონ თავის დანაშაულს და იას ხადუმთაგან (?) საყვედურს ახლა კიდევ ამ ხუთს მუხამბაზში ამბობს. მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ, ია ვინ არის და ან მეორე ბესარიონისაგან შეყვარებული. მე სახელები არ დავსწერე, არა ჰსჯობდა.“

—

დავით რექტორისაგან თქმული შაირი თავადს ალექსანდრე ჭავჭავაძეზედ (გადმოწერილი თვით მისის ხელ-ნაწერითგან).

„მიწათა ივერისათა შენებრ არ ვინ არს შობილი.
დავნატრი შენთა მშობელთა, ვითარ გვევს ეგრედ ბრძნობილი;
გონება ვრცელი, მდაბალი, გულ-ხმება მჭევრ ცნობილი
და არ მალ-მიძს შენსა მჭვრეტელსა, ქება შევიძლო მკობილი.“

მეორე მისივე ლექსი აკროსტიხად, რომლის კიდურ-წერილობა: „ალექსანდრე“-ა.

Ⴀცვიფრებს უცხოდ გონებისა ხედვას Ⴀ
Ⴊექსთ-წყობილება ნექტართა ოფაზ ნადეႬ
Ⴄლვარედ ნათხზი, მკობილი დალექსულაႣ
Ⴕმნილი ღომერებრ, სიმჭევრით მშვენიეႰ
Ⴑიჭაბუკისა ჟამსა გარდმომცემარ Ⴄ

—ეგრი—

ბიბლიოგრაფია

ალავერდის სობორის ხელთ-ნაწერი სახარება

(დასასრული*)

ეპიტაფიები სობორში დამარხულთა

ქ. ჯი შენ დიდებულო და დიდისა მეუფისა მხნეო მხედარო გიორგი შენითა სურვილითა და ცვაფარევათა მინდობილმან აქა მოსრულმან ტაძარსა შენსა მას ჟამსა ოდეს სამეფოსა საქართველოსასა განვაგებდით ჩვენ მეფის თეიმარუზის ძის წულმან ჰერეკლემ ვიხილე საფლავი მამისა ჩვენისა დავითისა აგარიანთაგან წამებულისა და ზედა მდებარე ვქმენით ლოდი ესე მარმარილოსი, ხილვით შენდობასა ღირს ყავით. (წელიწადი არ უზის. მგრგვალის მხედრულის ხელით არის ნაწერი).

ქ. ჯი ღმერთო უზესთაეს ყოველთა არსთა არსებათაო, რომელმან მეყსა შინა ყოველნი არა არსნი, არსებად მოიყვანენ, მიწისაგან კაცად შექმენ დასისა განთავისუფლებულ ჰყვედ ვითარცა ტარიგი, და მდებარე წინაშე მრისხველისა ნებსით მდებარე იქმენ და კვალად...და ესეცა განჩინებულად წარდგეს აღუცილებელ არს ყოველთათვის სიკვდილი ესე და ინება ხორცი მიწადვე მიქცევისა. ვინადგან სხეული ძველ ოდესმე მისგან არს, მასვე ერთების ამად მოიწია ჩემდაცა ბრძანება ზეგარდამო და აღვესრულე ღუთის მოყვარე და ნეტარი ესე ასული დიასამიძისა ლუარსაბისა დედოფალი პატრონი ელენე ქორონიკონს ტპგ-სა, თვესა დ, მეფის ძემან მეფემან პატრონმან ერეკლემ... სამაროვანს მას მეფეთა.... უფლისათა... დამარხ... ფიცარსა ზედან დე... მიეიღე ქვემდებარე ვქმენი... ათთა... ვებოდეს... მ....ვით წესებულთა ტაგრუცი მ.... მიერ შენდობა მოითხრობდეს. (ხუცურად არის ჩართულის ხელით).

ჩლივ...დიდება მოწყალებათა შენთა რომელმან არა არსისაგან არს მყვენ მიწისაგან ხატება... შემამკვენ და სულითა შენითა ცხოველ მყვენ ხოლო ჩვენ გარდასვლითა მცნებათა შენთათა მივეცენით სიკუდილსა და ხრწნილებითა დავისაჯენით, რომელი არა შეიწყალებს ჰაბუკთა, არა აცადებს ჩჩვილთა... მეფეთა, არა რიდებს დიდებულთა, არა სწყალობს გლახაკთა, არა აღიღებს ქრთამსა, არა შეიწირავს ცრემლით ქენებასა, ესევე თანაწარუვალ უხვაიშანო სიკვდილი მოიწია ჩვენდაცა დიდებით და ხმა..... მეფეთ მეფის ერეკლეს თანამეცხედრე და დედა კახთა მეფის დავითისა და სასურველი მშობელი საქართველოს დედოფალთ დედოფლის ელენესი, რომელმან შემიმკო საფლავი ესე ჩემი ქართლისა და კახეთისა შეერთების მოსურნე მხევალი და მსახოებელი წმიდის ღუთის მშობელისა დედოფალი ანნა ყოფილი ანასტასია ამა დიდებათაგან გლახაკ ვიქმენ და მცირესა ამას ტაგრუცსა შინა დავიდევ. განსასვენებელი ჩემი და ამას შინა დავემკვიდრო რამეთუ მთნავს ესე, გევედრები ყოველთა მხილველთა შენდობით მომიხსენებდეთ ქორონიკონს უდ.

ქ. ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ათვრამეტსა წელსა. ქ. განვედით ხორცთაგან და მივიცვალენით ხრწნილებისაგან უხრწნელებად ჩვენ მეფეთ მეფის ერეკლეს ასული და დედოფალთ დედოფლის ანნას მიერ შობილი თანამეცხედრე ენდრონიკაშვილის ხიზიყის მოურავის ძის აბელისა ბატონიშვილი ქეთევან დავიდევით სამარხოსა ამას საძვალესა სამეფოთასა მას ჟამსა ოდეს განაგებდა კვერთხსა მეფობისასა ძმა ჩვენი მეფე დავით ქორონიკონს უვ. აწ რაოდენი იხილვიდეთ შენდობით მომიხსენებდეთ.

ქ. ეჰა შენ სამობითო ერთო ნათელო და განუყოფელო, არა არსის არს მომყვანებელო რომელმან მსგავსად და ხატად შენდა შექმენ კაცი მიწისაგან რომელ არს მამა ჩვენი ადამ და თავისუფლად დაარწმუნე უცთურობა, ვინათგან იმანქანა მტერმან მან ბოროტმან ეშმაკმან გესლითა მით სასიკვდინოთი და მოატყუა თავსა თვისსა სიკვდილი ბირებითა მტერის ბოროტისათა და მიწადვე მიქცევა დაესაჯა ხრწნილებით ვითარმედ მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც, ამისა ვალისა თავსმდები და სიკუდილისა მწარისა სასამლისა შემმლიე კახთ მეფის ჰერეკლეს თანამეცხედრე დედოფალი ქეთევან მდებარე ვიქმენ მეფეთა სამარხოსა ამას შინა, რათა საცნაურად იხილეოდეს ტაგრუცი ესე და მრავალთა მიერ შენდობა წარმოითხრობოდეს. ქორონიკონს ულც.

მღ. მ. ხელაევი

დეპეშა

13 სექტემბერს

პეტერბურგი. სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა დაადგინა: ბრძოლა ფილოქსერასთან სავერობით რუსეთის ვენახიან ადგილებში და კავკასიაში ვალად აძევსთ კავკასიისა და ყირიმის კომიტეტებს და ოდესის კომისიას. კავკასიის კომიტეტმა უნდა იმოქმედოს იმიერ-კავკასიაში, ჩრდილო-კავკასიაში და ასტრახანის გუბერნიაშიო; ხოლო ოდესის კომისიამ—შემდეგს გუბერნიებში: ხერსონისა, ბესარაბიისა, პოდოლიისა და კიევისაშიო. საფილოქსერო დაწესებულებათ ნება აქვთ გასინჯონ ხოლმე ვენახები და მოსწყვან და ამოაგდონ ფილოქსერიანი ვენახი და გარეშემო ადგილები, ხოლო სხვათა ადგილთა გადასარჩენად ნება ეძლევათ გასინჯონ ხოლმე ის ბაღები, საცა ხეხილსა და ვაზსა ჰყიდიანო. ვენახები და ერთობ მინდვრები სამ რიგად განიყოფება: ფილოქსერიანი, საეჭვონი და სრულიად საღნი. ფილოქსერიან ადგილებიდამ აეკრძალების, რომ წაიღონ ვინმე ნამყენი და რქა, მიწა, სარი და ჭიგო; საეჭვო ადგილებიდამ აეკრძალების, რომ წაიღონ ვინმემ ჭიგო, სარი და ერთობ ვაზი. ფილოქსერიანსა და საეჭვო ადგილებში აეკრძალებიან, რომ ერთის მამულიდამ მეორე მამულში გარდასცენ ნიჩბები, ბარები, ბარჯები და სხვა იარაღი; 1 აპრილიდამ 1 ოქტომბრამდე აეკრძალებიან დათვალიერება ვენახებისა ფილოქსერიან ადგილებში ნებადაურთველად. ვენახების პატრონებს აეკრძალებიან, რომ თავის თავად მიიღონ ღონისძიება ფილოქსერის გაწყვეტისა და ვენახის გადარჩენისათვის.

ოდესა. რადგან ავსტრო-ვენგრიაში ხოლერა გაძლიერდა, გენერალ-გუბერნატორი საჭიროდ ჰხედავს თერთმეტს ადგილას დააწესოს კარანტინიო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჲო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

14 დღე კვირა. ამაღლება წმ. პატიოსნის უვლის ჯვარისა. მარხვაა. ამ დღეს და წინა დღეს ალავერდის მონასტერში, თელავს ახლო, წმ. გიორგის სახსოვრად ბევრი მლოცველი იკრიბება სარწმუნოების განურჩევლად და დიდი ბაზრობა იმართება ხოლმე. კათოლიკ. წმ. ქალწ. მარიამ. სომეხ. ხაჩვერაც (ამაღლება ჯვარისა). სპარსეთის შაჰმა აღა მაჰმად-ხანმა ტფილისი აღაოხრა, 1795 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51—13. ტფილისში მზე ამოდის 5—51, ჩადის 5—51; მთვარე ამოდის 3—57, ჩადის 4—51.

15 დღე ორშაბათი. დიდ-მოწ. ნიკიტასი, ღირს. აბბა იოსესისა ალავერდელისა, 570 წ., რომელიც დამარხულია ალავერდის მონასტერში, თელავს ახლო. კათ. მე-8 დღე ყოვლად წმ. ქალწ. მარიამის დაბადებიდამ. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი; ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50—57. ტფილისში მზე ამოდის 5—52, ჩადის 5—50. მთვარე ამოდის 5—14, ჩადის 5—29.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
წელიწადი მეხუთე

კურების დანიშნულებას ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

1886—87 სამოსწავლოს წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) **მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი**.

სწავლა დაიწყობა 15 სექტემბრიდამ, ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყობა 25 აგვისტოდამ ყოველ დღე საღამოს 5 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, **სოლოლაკში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 11.**

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ხ. პ. მანუელიანცს** ტფილისს. (11—11)

იბეჭდება და სექტემბრის პირველს
გამოვა
«ქართულის წერის დედანი»
ვ. გაბაიჩვაძისა
(გამოცემა ი. მურადოვისა)

წერის დედანს შეადგენს: 1) მსხვილი გადაუბმელი ხელი ბადეში თავის ელემენტებით; 2) დაპატარავებული საშუალო მრგვალი ხელი უბადეოთ ოთხს ხაზში; 3) გადაბმული სწორედ (ალმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამ ხაზში და 4) გადახრული (НАКЛОННЫЙ) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში—ჯერ გადაუბმელად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით.—დედანსა აქვს სულ 24 გვერდი. დედანის ფასი 30 კაპ. ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეგზემპლიარს იყიდის, ეგზ. 24 კაპ. დაეთმობა. (2—1)

---

*) იხ. „ივერია“ № 197.

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე